აწარმოე საქართველოში

# მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა

## პროგრამის მიზანი:

- მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ასევე, ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება.

## მხარდაჭერა:

- ბიზნესის წამოწყებისთვის ან/და არსებულის გადაიარაღებისათვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა (მათ შორის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2015-2018 წელს დაფინანსებული ბენეფიციარები);
- ტექნიკური მხარდაჭერა-ჯგუფური ტრენინგები, ბიზნესკონსალტინგი.

## სამიზნე ტერიტორიული ერთეულები:

**პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე:**

**ლოტი 1** - აჭარა გურია, სამეგრელო ზემო სვანეთი;

**ლოტი 2** - კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი;

**ლოტი 3** - იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი;

**ლოტი 4** - სამცხე ჯავახეთი, ქვემო ქართლი;

**ლოტი 5** - თბილისი.

## თანადაფინანსების (გრანტის ) მოცულობა:

- მეწარმე სუბიექტზე მაქსიმუმ 30 000 ლარი.

## ბენეფიციარის თანამონაწილეობა:

- ახალი ბენეფიციარი - 10%;
- არსებული ბენეფიციარი - 25 %.

## ბენეფიციარის თანამონაწილეობა მაღალმთიან დასახლებებში:

- ახალი ბენეფიციარი - 5%;
- არსებული ბენეფიციარი - 15%.

აწარმოე საქართველოში

## განმცხადებელი:

- 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საჯარო მოხელე.

## პრიორიტეტები:

ა) ინტელექტუალურ სერვისზე ორიენტირებული პროექტები;

ბ) განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტი;

გ) მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე ორიენტირებული პროექტები;

დ) ახალი ბიზნესის წამოწყება;

ე) ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

ვ) სოფლად/მაღალმთიან სოფელში ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება.

## დაფინანსების სფეროები:

- ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობა, გარდა სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურებებისა.

## გრანტის მიზნობრიობა:

თანხა გაიცემა ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად - 90% საბრუნავი საშუალებებზე 10%;

- აუცილებელია მოხდეს შესყიდვის დოკუმენტის წარმოდგენა ბენეფიციარის მხრიდან.